პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 69 (1239) | სამშაბათი, 10 ივნისი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 80 კაპ.







◆

სურათებზე: გაგნიძეს გააქვს მეორე ბურთი ბერლინელთა კარში. მარჯვნივ — მეკარე მარკვარტი ვერ მიწვდა ბურთს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

* * *

თბილისისა და ბერლინის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდების საერთაშორისო მატჩის ანგარიში იხ. მე-3 გვერდზე.

◆

## ი. რიაზანოვას წარმატება

◆

### ახალგაზრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრება

◆

1-5 ივნისს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის მცირე სარბიელზე მიმდინარეობდა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის საუკეთესო ახალგაზრდა ჩოგბურთელები.

შეჯიბრება ჩატარდა მეტად საინტერესოდ, მონაწილეებმა აჩვენეს კარგი მომზადება და მაღალი კლასი.

გოგონათა წყვილებს შორის გამარჯვება ი. რიაზანოვასა და ა. დმიტრიევას ხვდათ წილად, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს ჩეხი ჩოგბურთელები ზ. კაუდელკოვა და ი. გორჩიჩკოვა. ჭაბუკთა წყვილებში გაიმარჯვეს პოტანინმა და ლიხაჩოვმა, ხოლო შერეულ წყვილში — დმიტრიევამ და ლიხაჩოვმა. ჭაბუკთა შორის გამარჯვებული გამოვიდა ა. პოტანინი.

შესანიშნავ წარმატებას მიაღწია თბილისელმა ჩოგბურთელმა ი. რიაზანოვამ. მან დაიკავა პირველი ადგილი ერთეულთა შეხვედრაში გოგონათა შორის.

# VI, შვედეთი, 1958 წ.

## 2:2

### ასეთია ინგლისისა და საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა მატჩის ანგარიში

მთელი სპორტული სამყარო მოუთმენლად მოელოდა 8 ივნისს—ფეხბურთში მსოფლიო პირველობის ფინალური მატჩების დაწყების დღეს.

და აი განვლილ კვირას შვეციის 8 ქალაქში შედგა პირველი მატჩები ქვეჯგუფებში, რომლებსაც დაესწრო აუარებელი მაყურებელი, სპეციალისტი, ჟურნალისტი, კომენტატორი. მსოფლიოს ყველა კონტინენტზე უსმენდნენ ფეხბურთის მოყვარულნი ბრძოლის მსვლელობას 16 უძლიერეს გუნდს შორის

პირველი დღის შეხვედრებიდან, უდავოდ, ყველაზე მეტ ინტერესს იწვევდა მატჩი გეტებორგში ინგლისისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის. „ნიუ ულევის“ ახლად რეკონსტრუირებულ სტადიონზე იყო მაყურებელთა მაქსიმუმი — 50 ათასზე მეტი. 40 რადიოკომენტატორი აწარმოებდა მატჩის ტრანსლაციას სხვადასხვა ენაზე.

ინგლისის ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვიდა თამაშზე: მაკდონალდი, ჰოუ, რაიტი, ბენკსი, კლემპი, სლეიტერი, დუგლასი, რობსონი, კევანი, ჰეინსი, ფინეი.

სსრ კავშირის გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: იაშინი, კესარევი, კრიჟევსკი, კუზნეცოვი, ვოინოვი, ცარევი, ა. ივანოვი, ვ. ივანოვი, სიმონიანი, სალნიკოვი, ილინი

თამაში პირველივე წუთებიდან მიმდინარეობდა უაღრესად დაძაბულ ვითარებაში, დიდ სისწრაფეზე. მე-9 წუთზე ინგლისელთა კართან სახიფათოდ გავიდა სიმონიანი, მაგრამ მისი დარტყმა არაზუსტი გამოდგა. ასევე დამთავრდა ვოინოვის სწრაფი გარღვევა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე.

მე-13 წუთზე ილინმა და სიმონიანმა გაითამაშეს ზუსტი კომბინაცია და ინგლისელთა კარში გატანილ იქნა პირველი გოლი — 1:0. ბრიტანელ ფეხბურთელთა ცდას პირველ ტაიმშივე გაეტანათ საპასუხო ბურთი, შედეგი არ მოჰყოლია. საბჭოთა გუნდის დაცვა ძალების სრული დაძაბვით დარაჯობდა კევანის, ფინეისა და მათი პარტნიორების იერიშებს.

კიდევ უფრო მწვავე იყო ბრძოლა მეორე ტაიმში. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ა. ივანოვმა მოატყუა მცველებიც, მეკარეც და გაიტანა მეორე გოლი — 2:0.

21-ე წუთზე კევანმა მიიღო გადაცემა და თავით გაიტანა პირველი საპასუხო ბურთი. ინგლისელები თამაშობდნენ სულ უფრო აგრესიულად და განუწყვეტლივ უტევდნენ მეტოქის კარს. მატჩის დამთავრებას აკლდა 15, 12, 10 წუთი... ერთ-ერთ სახიფათო მომენტში საბჭოთა გუნდის საჯარიმო მოედანზე უნგრელმა მსაჯმა ი. ძოლტიმ დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო, რომელიც ზუსტად გამოიყენა ფინეიმ—2:2. ინგლისის ნაკრები გადარჩა დამარცხებას თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე.

* * *

მოგვყავს დანარჩენი მატჩების შედეგები: ჩემპიონობის ერთ-ერთმა ფავორიტმა არგენტინამ ქ. მალმეში წააგო შეხვედრა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის გუნდთან — 1:3, ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთელებმა მოუგეს ჩეხოსლოვაკიას—1:0.

საფრანგეთისა და პარაგვაის გუნდების შეხვედრა ქ. ნორჩეპინგში დამთავრდა ფრანგების გამარჯვებით, ანგარიშით 7:3, ხოლო შვედებმა დაამარცხეს მექსიკის ნაკრები — 3:0. ერთნაირი ანგარიშით — 1:1 დამთავრდა იუგოსლავია-შოტლანდიისა და უნგრეთ-უელსის გუნდების მატჩები. ბრაზილიელებმა მოუგეს შეხვედრა ავსტრიას — 3:0.

სსრ კავშირის ნაკრებს მორიგი შეხვედრა აქვს 11 ივნისს ავსტრიასთან. მატჩი შედგება ქ. ბუროსში.

## მოვამზადოთ ბაზები, დავრაზმოთ ძალები

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა ამას წინათ მიიღო ოფიციალური დადგენილება მომავალი წლის ზაფხულში ჩატარდეს სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადა. ამ უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიების შესახებ თითქმის ყველაფერი გარკვეულია: ჩატარების ადგილი, თარიღი, ცვლილებანი დებულებაში, მიზანი და ამოცანები და ა. შ. ერთი სიტყვით, სპარტაკიადის თეორიული საფუძველი უკვე დიდი ხანია მზადაა და ახლა საჭიროა საქმეს პრაქტიკულად მოვკიდოთ ხელი — დავიწყოთ გუნდების საორიენტაციო დაკომპლექტება და მათი სისტემატური წვრთნა.

მიმდინარე წელი სპარტაკიადების წელია. ერთი მათგანი სულ რამდენიმე დღეში დაიწყება — ესაა მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა. ეს ღონისძიება მეტად მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ აქ გამოვლენილი მრავალი ნიჭიერი სპორტსმენი უნდა შევიდეს ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში. სწორედ ამიტომ მოსწავლეთა სპარტაკიადა უაღრესი გულისყურით უნდა ჩავატაროთ. რესპუბლიკის მოწინავე მწვრთნელებმა შეჯიბრებათა არც ერთი დღე არ უნდა გააცდინონ, ყოველი მონაწილე მზრუნველი თვალით განსჭვრიტონ და ეძებონ ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც მომავალ სპორტულ ბრძოლებში ღირსეულად შეძლებენ საქართველოს სპორტული პრესტიჟის დაცვას.

მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადას მოჰყვება სტუდენტთა ზონალური თამაშები, შემდეგ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა, მრავალი საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრება. ყველა ეს ღონისძიება ჩვენ უნდა გამოვიყენოთ როგორც ძალთა შემოწმებისა და დათვალიერების ეტაპები. მწვრთნელებმა, გუნდების ხელმძღვანელებმა და კაპიტნებმა უნდა გაშალონ სააგიტაციო მუშაობა სპორტსმენებში, რათა ისინი გულისხმიერად მოეკიდონ წვრთნას და გამოავლინონ მთელი თავიანთი შესაძლებლობანი.

ამ საპასუხისმგებლო პერიოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაკრები გუნდებისათვის საწვრთნელი ბაზების მომზადებას. ჩვენ რომ ახლა დავიწყოთ წუწუნი ბაზების სიმცირეზე, ამით საქმეს არ ეშველება (თუმცა უახლოეს ხანში მრავალი ახალი ბაზა შევა ექსპლოატაციაში), საჭიროა სრულ საბრძოლო წესრიგში მოვიყვანოთ ის ბაზები, რომლებიც ახლა გაგვაჩნია. რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს ბაზების მხრივ არავითარი დაბრკოლება არ უნდა შეხვდეთ და გარდა ამისა, ყოველთვის ჰქონდეთ სპორტული ფორმა, უმაღლესი ხარისხის ინვენტარი. სპორტსაზოგადოებათა ხელმძღვანელებმა და ბაზების დირექტორებმა საჭიროა ახლავე გადახედონ იმ ობიექტებს, სადაც ნაკრები გუნდების წვრთნის ჩატარებაა განზრახული. შესაკეთებელი შეაკეთონ და შესაძენი შეიძინონ. ხელმძღვანელმა სექციებმა დიდი დაკვირვებით უნდა შეარჩიონ სპორტსმენები ნაკრები გუნდებისათვის. რესპუბლიკის სპორტული კოლექტივი თავის რიგებში არ დაუშვებს დეზორგანიზატორებს, ზარმაცებს. ასეთი სპორტსმენი რაც უნდა მაღალი კლასისა იყოს, რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში არ დაიშვება. ეს საჭიროა კარგად გაითვალისწინონ სპორტსმენებმა და განსაკუთრებით მწვრთნელებმა, რომლებსაც უშუალოდ ექნებათ საქმე ნაკრები გუნდების მზადებასთან.

როგორც ვიცით, მომავალი სპარტაკიადის პროგრამა გაზრდილია, მას დაემატა მოტოსპორტი, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი და აკადემიური ნიჩბოსნობა. რა მდგომარეობა გვაქვს სპორტის ამ სახეობებში? მოტოსპორტს ჩვენს რესპუბლიკაში საკმაო ტრადიცია აქვს. ეს დაადასტურა ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადამაც, სადაც დამაჯერებელი გამარჯვება მოვიპოვეთ. ამ სახეობაში ამას წინათ საინტერესო შეჯიბრება ჩატარდა „ბურევესტნიკის“ სტადიონზე. ასეთი შეჯიბრებები და, რაც მთავარია, კროსები კვლავაც ხშირად უნდა ჩატარდეს, რათა ჩვენი მოტოციკლისტები კიდევ უფრო გამოიწრთონ. ჭადრაკში სულ ახლახან დამთავრდა რესპუბლიკის პირველობა და, უნდა ითქვას, რომ არც თუ ისე მაღალი შედეგებით. ტურნირში არ ჩანდა მაღალი შემოქმედებითი ბრძოლა, ახალგაზრდებმა, ვისი იმედიც გვქონდა, ვერ გამოიჩინეს თავი. ჭადრაკის ხელმძღვანელმა სექციამ სწრაფად უნდა გააკეთოს სათანადო დასკვნები და დროულად იზრუნოს გუნდის შემოქმედებითს ზრდაზე.

აკადემიური ნიჩბოსნობა სულ რამდენიმე თვეა რაც დაინერგა რესპუბლიკაში და ამ სახეობაში გათვალისწინებული პირველი შეჯიბრებები დაგვანახებს ყველაფერს. რაც შეეხება მაგიდის ჩოგბურთს, აქ კი შეგვიძლია დამაკმაყოფილებელი შედეგების მიღწევა.

ახლა საჭიროა მთელი ძალების დარაზმვა. სპარტაკიადისათვის მზადების საქმით უნდა განიმსჭვალოს თვითეული სპორტსმენი, მწვრთნელი, ფიზკულტურული მუშაკი. საჭიროა ქმედითად გამოვიყენოთ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების დახმარება, მზადების საქმეში უნდა ჩავაბათ ყველა ის ორგანიზაცია, ვისთვისაც ძვირფასია რესპუბლიკის სპორტული ღირსება. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ სანიმუშოდ ჩავატაროთ საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის ყველა წინა ეტაპი და წარმატებით გამოვიდეთ თვით სპარტაკიადაში.

## „ინგასი“—მეორე ადგილზე

ბონი. ქ. ვისბადენში დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება ცხენოსნობაში, რომლის ცალკეულ სახეობებში მონაწილეობდნენ საბჭოთა სპორტსმენები ფილატოვი, ვტოროვი და ლომოვი.

ცხენის გაწვრთნაში „დიდ პრიზზე“ ი. ფილატოვმა „ინგასზე“ პირველ ეტაპში დააგროვა ქულათა ყველაზე მეტი რაოდენობა და მხოლოდ ფინალში დაუთმო პირველი ადგილი შვეიცარელ შამარტენს. ლომოვმა და ვტოროვმა დაიკავეს შესაბამისად მეშვიდე და მერვე ადგილები.

დასავლეთ გერმანიის პრესა მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა ცხენოსანთა გამოსვლებს.

# მარტოდმარტო, აქტივის გარეშე

ფიზკულტურისა და სპორტის ქარელის რაიონული კომიტეტის ძებნით ამაოდ დამაშვრალებმა დახმარებისათვის გზად შემხვედრ ახალგაზრდას მივმართეთ, რომელიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, თვითონ იყო ის, ვინც ყველაზე მეტად გვაინტერესებდა — ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე შ. ხარატიშვილი. კომიტეტისაკენ გავემართეთ, რომლის შესასვლელში წინაღობათა ზოლი იყო „მოწყობილი." ჩვენი პირველი ნაცნობობაც ქარელის ფიზკულტურულ საქმიანობასთან სწორედ ამ წინაღობათა გადალახვით დაიწყო.

— ასეა, დაყარეს ხეები, მისასვლელები დაიკეტეს, კომიტეტში ადარავინ მეკარება. — აწუწუნდა მასპინძელი, ჩვენ კი ერთმანეთში არეული სპორტული ინვენტარის, ნაგვისა და საქმების დათვალიერებით ვიყავით გართული. ცხადია, ის, ვინც საკუთარ სამუშაო ოთახში ვერ ამყარებს წესრიგს, რა თქმა უნდა, ვერც რაიონს გაუძღვება სათანადოდ.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში კარგა ხანია მუშაობა გარდაიქმნა ახალ საწყისებზე — საკავშირო კომიტეტის ბრძანება №329-სა და რესპუბლიკური კომიტეტის ბრძანება №769-ის საფუძველზე, აქ ამ მხრივ დღემდე არაფერი გაკეთებულა, სპორტღონისძიებათა კალენდარი კი ისეა შედგენილი, რომ მასში ახალი სისტემის ნიშანწყალიც არ ჩანს. ღონისძიებების ჩატარება დაგეგმილია ძდრე მოქმედი სისტემით შეჯიბრებათა ტურებად ჩატარების გარეშე.

რაკი ზემდგომი ორგანოების ბრძანებათა შეუსრულებლობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ინტერესმოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ, რომ ქარელის ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებამდე ვერავითარი სადირექტივო გადაწყვეტილება ვერ აღწევს, რაშიც, რა თქმა უნდა, სათანადო „დამსახურება" მიუძღვით რაიონის ხელმძღვანელ ამხანაგებს. მაშ რით უნდა აიხსნას, თუ არა განათლების რაიონული განყოფილებისა და ფიზკულტურის კომიტეტის დაუდევრობით ის ფაქტი, რომ რაიონის სკოლებში დღემდე არ იცნობენ განათლების სამინისტროსა და ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ბრძანებას — „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტულ სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის მდგომარეობის შესახებ"? რაიონის საკოლმეურნეო ფიზკულტურულ კოლექტივებში დღემდე არ იცნობენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებას „კოლმეურნეობებში, მტსებში, საბჭოთა მეურნეობებში და სოფლის მეურნეობის ყველა ორგანიზაციებში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ", რომელიც ამ სისტემაში შემავალ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს ავალებს საფუძვლიანად გარდაქმნან ფიზკულტურული მუშაობა, მოაწყონ ბაზები, შეიძინონ ინვენტარი, აიყვანონ ფიზკულტურის ინსტრუქტორები.

სწორედ ამიტომაა რაიონის საკოლმეურნეო ფიზკულტურულ კოლექტივებში სავალალო მდგომარეობა. სოფელ დირბის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. ბერიძე, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი და ძირეული საბჭოს თავმჯდომარე — გ. ბლიაძე) ფორმალურად არსებობს ფიზკულტურული კოლექტივი, რომლის ხელმძღვანელობას არავითარი დოკუმენტაცია არ გააჩნია, არა აქვთ სპორტული ბაზები, ინვენტარი, შეჯიბრებების ჩატარებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. შარშან დირბის საკოლმეურნეო ფიზკულტურული კოლექტივის უმოქმედობისათვის რაიონულმა პრესამ სამართლიანად გააკრიტიკა კოლმეურნეობის გამგეობა და ძირეული საბჭო, მაგრამ კრიტიკა კრიტიკად დარჩა, მდგომარეობა კი უცვლელია. ანალოგიური მდგომარეობაა ბრეთის (კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე — ვ. შუბითიძე, ძირეული საბჭოს თავმჯდომარე — ჯ. ჯაფიაშვილი). და სხვა საკოლმეურნეო ფიზკულტურულ კოლექტივებში.

ზემდგომი ორგანოებიდან მიღებული დირექტივების უგულებელყოფამ იქამდე მიიყვანა განათლების რაიონული განყოფილება, რომ თავის სხდომაზე ერთხელაც არ მოუსმენია მოსწავლე ახალგაზრდობას შორის სპორტული მუშაობის საკითხი. სკოლების უმეტესობაში დაბალ დონეზეა ფიზკულტურული მუშაობა. მაგალითისათვის ბრეთის (დირექტორი — ი. ბაბლიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი — ა. ლურსმანაშვილი), რუისის (დირექტორი — გ. კავლელაშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი — ა. ჩადუნელი), აბისის (დირექტორი — შ. ნოზაძე, ფიზკულტურის მასწავლებელი — გ. ტაბატაძე) საშუალო სკოლებიც საკმარისია.

ამ ორგანიზაციებში ფორმალურად არსებობენ ძირეული საბჭოები, რომელთა უმეტესობა რვა კაცით (?) განისაზღვრება. ბრეთის სკოლაში გასულ სასწავლო წელს მხოლოდ სამჯერ მოიწვიეს ძირეული საბჭოს სხდომა. უხარისხოდაა შედგენილი სპორტღონისძიებათა კალენდარი, არ ეწყობა შეჯიბრებები. თუ ქაღალდებს დავუჯერებთ, სკოლაში შექმნილია მძლეოსნობის, ჭადრაკის, კალათბურთის სექციები, კვირაში ორჯერ ატარებენ მეცადინეობებს, მაგრამ სად, როცა ბაზები არ აქვთ? სკოლებში არასათანადო დონეზეა საქმიანი კონტროლი, ყურადღება არ ეთმობა ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლინებას.

რაიონულ ცენტრში არსებული ერთადერთი ბაზა — სტადიონი დიდი ხანია შეკეთებას საჭიროებს. იგი პირუტყვის სათარეშოდაა გადაქცეული. ყოვლად დაუშვებელია ის ფაქტიც, რომ ადამიანთა ჯანსაღების ამ კერის გვერდით მდებარეობს ტუბდისპანსერი. სწორედ ამის გამო რაიონის ხელმძღვანელობას განუზრახავს სტადიონის გადატანა ცენტრიდან სამი კილომეტრის მოშორებით. ეს კარგია, მაგრამ განზრახვას განხორციელება უნდა, თუმცა უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ტუბდისპანსერისათვის მოეძებნათ შესაფერისი ბინა.

რამ გამოიწვია მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის ჩავარდნა ქარელის რაიონში? ჩვენის აზრით კომიტეტის თავმჯდომარის საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულებამ. არა ჰყავს აქტივი, თავი ყოვლისშემძლედ წარმოუდგენია და ამ სერიოზული საქმის მარტო გაძღოლას ფიქრობს.

ჩვენი რჩევა იქნება, რომ ხარატიშვილმა ქმედითად გამოიყენოს აქტივი, საქმეში ჩააბას კომიტეტის წევრები, იზრუნოს შეჯიბრებათა ჩატარების ახალი სისტემის დანერგვისათვის. თუ იგი კვლავ „მარტო" ფიქრობს მწვერვალების დაპყრობას, სჯობს თავისი ადგილი სხვას დაუთმოს, ვიდრე სათანადო ორგანოები ამას თვითონ გააკეთებენ.

ვ. გოგრიჭიანი,
ო. გელაშვილი.

## მეათე სპარტაკიადა

ბათუმის [illegible] დამთავრდა მოსწავლეთა [illegible] სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ბათუმის, ხულოს, შუახევის, ქედის, ქობულეთისა და ბათუმის რაიონების გუნდებმა.

სპარტაკიადის მსვლელობის დროს 10-მა სპორტსმენმა შეასრულა მეორე თანრიგის, 28-მ — მესამე და 35-მა — მოზარდთა თანრიგის ნორმატივი. დამყარებულ იქნა აჭარის ასსრ 3 ახალი რეკორდი. მე-11 საშუალო სკოლის მოსწავლე ტ. როყბანოვა სიგრძეზე გადახტა 5 მეტრსა და 50 სანტიმეტრზე, ხოლო სამჭიდში 2036 ქულა დააგროვა. მე-10 საშუალო სკოლის მოსწავლემ ე. ლუკაშოვამ 100 მ. დისტანცია 12,8 წამში დაფარა.

ფრენბურთში ვაჟთა გუნდებს შორის პირველობა დაისაკუთრეს ქალაქ ბათუმის ფრენბურთელებმა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ქედისა და ბათუმის რაიონების გუნდები. გოგონებს შორის პირველნი იყვნენ ბათუმელი ფრენბურთელები. მეორე ადგილი წილად ხვდათ ბათუმის რაიონის სპორტსმენებს, ხოლო მესამე — ქობულეთის რაიონის წარმომადგენლებს.

ბათუმელმა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს, აგრეთვე კალათბურთში, სროლასა და ჭადრაკში. მათვე დარჩათ საერთო გუნდური პირველი ადგილი. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ქობულეთის, მესამეზე — ბათუმის რაიონის სპორტსმენები.

შ. მამინაშვილი

# სპარტაკიადების წელი

## გაიზარდა მონაწილეთა რაოდენობა

„შრომითი რეზერვების" სასწავლებლების მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელიც ახლახან თბილისში დამთავრდა, სარეკორდო გამოდგა მონაწილეთა რაოდენობით. თუ წინათ შეჯიბრებები ეწყობოდა 9-10 სახეობაში, ახლა მათი რაოდენობა 14-მდე გაიზარდა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 1500-მდე სპორტსმენმა.

სპარტაკიადაში წელს პირველად გამოვიდნენ თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დიღმისა და სურამის, თბილისისა და ქუთაისის ტექნიკური სასწავლებლები, რის გამო წელს პირველად ჩატარდა შეჯიბრება ცალცალკე მოზრდილებისა და მოზარდთათვის.

სპარტაკიადაში პირველი ადგილი, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა და „შრომითი რეზერვების" მთავარი სამმართველოს თასი მოიპოვეს თბილისის მე-6 სახელოსნო სასწავლებლის სპორტსმენებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა რკინიგზის მე-2 სასწავლებლის კოლექტივი. მოზრდილთა ჯგუფში სპარტაკიადის პირველი ჩემპიონი გახდა თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის გუნდი.

თბილისელები კარგად მომზადებულნი აღმოჩნდნენ ჭიდაობაში, კრივში, ცურვაში, ტანვარჯიშში, ველოსპორტში, ფრენბურთში, სროლაში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში. სამაგიეროდ ვერც ერთი პირველი და მეორე საპრიზო ადგილები ვერ დაიკავეს კალათბურთსა და ფეხბურთში. კალათბურთელთა ასპარეზობა მოიგო ფოთის საამშენებლო სასწავლებელმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ ბორჯომის მე-7 სახელოსნო სასწავლებლის სპორტსმენები.

ფეხბურთელთა შეჯიბრებაში ფინალამდე მხოლოდ რუსთავის გუნდებმა მიაღწიეს. მე-3 სახელოსნო სასწავლებლის გუნდმა ანგარიშით 2:1 მოუგო მე-17 სპეცსასწავლებლის კოლექტივს და მოიპოვა პირველი ადგილი.

სპარტაკიადაზე ადგილი ჰქონდა სასწავლებელთა ხელმძღვანელების მიერ გუნდების დაკომპლექტებაში არასწორ საქციელს. მაგალითად, მე-11 სახელოსნო სასწავლებელმა ფეხბურთელთა გუნდის შემადგენლობაში შეიყვანა ისეთი სპორტსმენები, რომლებსაც ამ კოლექტივთან არავითარი კავშირი არ ჰქონიათ. მე-5 ტექნიკურმა სასწავლებელმა კი ფრენბურთის გუნდი დააკომპლექტა მონაწილეთა ასაკის დაცვის გარეშე, რის გამო მსაჯთა კოლეგიამ ორივე გუნდი სამართლიანად მოხსნა შეჯიბრებიდან.

გამარჯვებულთაგან დაკომპლექტებული რესპუბლიკური ნაკრები მონაწილეობას მიიღებს „შრომითი რეზერვების" მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში, რომელიც ლენინგრადში ჩატარდება ივლისში.

ა. ბარნოვი

## წყალში მხტომელთა პირველი სტარტები

გაიმართა თბილისის რკინიგზის სკოლების წყალში მხტომელთა შეჯიბრება.

გოგონათა შორის წარმატება ხვდა წილად რკინიგზის მე-6 საშუალო სკოლის მოსწავლეს ს. ნიკიტინას, რომელიც პირველი იყო 1 და 3 მ ტრამპლინიდან და 5 მ კოშკიდან ხტომაში. 1 და 3 მ ტრამპლინიდან ხტომაში ჭაბუკთა შორის გაიმარჯვა ამავე სკოლის წარმომადგენელმა ი. გუტიაგულოვმა (93,32 და 48,19). კოშკიდან ხტომა კვლავ მე-6 სკოლის მერვეკლასელის კ. კიკელიძის გამარჯვებით დამთავრდა — 18,00 ქულა.

საინტერესოდ მიმდინარეობდა თბილისის პირველობა სპორტსაზოგადოება „განთიადის" წყალში მხტომელთა შორის. საკმარისია აღინიშნოს, რომ 60 მონაწილიდან, რომელთა დიდი ნაწილი 10-12 წლის დამწყები სპორტსმენები იყვნენ, 23-მა შეასრულა სათანრიგო ნორმები. ჭაბუკთა თანრიგს მიაღწიეს ათი წლის სპორტსმენებმა: თ. აბაზაძემ, ვ. ბარნოვმა, თ. ჩუგუნაძემ, ე. გამცემლიძემ, ა. წილიკიშვილმა, თერთმეტწლიანებმა — დ. ტოგონიძემ, ჯ. ტოტიაურმა, ი. ბიბილეიშვილმა და სხვ.

ჭაბუკთა შორის 3 მ ტრამპლინიდან ხტომაში გაიმარჯვა ვ. ევდოკიმოვმა. მისი შედეგია 111,22 ქულა. 1 მ ტრამპლინიდან ხტომაში პირველი იყო ი. კუპრიანოვი.

ქალთა და ვაჟთა შორის 1 და 3-მეტრიანი ტრამპლინებიდან ხტომაში გამარჯვება მ ო ი პ ო ვ ე ს ტ. და ვ. ინწკირველებმა შესაბამისად აჩვენეს რა შედეგები — 111,69 და 127,95; 117,70 და 134,84 ქულა.

10 მ კოშკიდან ხტომაში პირველად სცადეს ძალები ახალგაზრდა სპორტსმენებმა ა. იორდანიშვილმა და ნ. მაზანაშვილმა. ამ სახეობაში 96,49 ქულით გამარჯვებული გამოვიდა იორდანიშვილი, რომელსაც მისი მეტოქე 0,63 ქულით ჩამორჩა. საქართველოს ჩემპიონმა ს. კამოევმა მესამე ადგილი დაიკავა.

ვ. ინწკირველი





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით — კიროვის სახელობის ქარხნის აუზი, სადაც მიმდინარეობდა შეჯიბრება წყალში მხტომელთა შორის. ქვევით — 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომას ასრულებს ა. იორდანიშვილი.

## მაჩხაანელთა წარმატება

დამთავრდა „კოლმეურნის" მეორე რაიონული სპარტაკიადა სიღნაღში. მონაწილეობდა 14 ფიზკულტურული კოლექტივი.

ფრენბურთსა და ძალოსნობაში ჩემპიონები გახდნენ მაჩხაანის ზოოტექნიკუმის სპორტსმენები. მძლეოსნობაში პირველი ადგილი დაიკავა სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობის გუნდმა.

თავისუფალ ჭიდაობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდა 6 გუნდი. უძლიერესი აღმოჩნდა სოფელ ჯუგაანის კოლმეურნეობის გუნდი, კლასიკურ ჭიდაობაში კი ჩემპიონობა დაისაკუთრეს მაჩხაანის ტექნიკუმელებმა.

საერთო პირველი ადგილი დაიკავა მაჩხაანის ზოოტექნიკუმმა, მეორე ადგილზე წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის გუნდი, მესამეზე — ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გუნდი.

ნ. მღებრიევა

## ორი მატჩი

ქუთაისი. 8 ივნისი. (ტელეფონით). დღეს აქ შედგა მორიგი მატჩი „ბ" კლასის პირველობაზე ფეხბურთში IV ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „ლოკომოტივმა" მიიღო არტემოვსკის თანაკლუბელთა გუნდი.

ძლიერი წვიმის შემდეგ მინდორი დასველდა, რაც საგრძნობლად აძნელებდა თამაშს. ტაიმის დასასრულს გოშელაურმა მიიღო ბურთი სორდიას მიერ მოწოდებული კუთხური საჯარიმოს შემდეგ და გაიტანა გოლი — 1:0.

მეორე ტაიმში ქუთაისლებს ხელიდან არ გაუშვიათ ინიციატივა, მათ თავდამსხმელებს მრავალი ხელსაყრელი მომენტიც ჰქონდათ მოწინააღმდეგის კართან, მაგრამ ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.



ასტრახანი. 8 ივნისი. (ტელეგრაფით). ქალაქის სტადიონზე გაიმართა შეხვედრა ასტრახანის „ტრუდსა" და თბილისის „ბურევესტნიკს" შორის.

თამაში მოიგეს ასტრახანის ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:1. აღსანიშნავია, რომ ესაა ასტრახანის „ტრუდის" პირველი გამარჯვება მიმდინარე გათამაშებაში.

სურათზე: ქუთაისის „ლოკომოტივისა" და არტემოვსკის „ლოკომოტივის" მატჩი. ქუთაისელთა მეკარე იღებს მაღალ ბურთს.

ფოტო ლ. ღაჩუაშვილისა.

## ახალგაზრდა მოკრივეთა შეჯიბრება

ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტულ დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა თბილისის ახალგაზრდა მოკრივეთა პირად-გუნდური პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ „ბურევესტნიკის", „განთიადის", „დინამოს", „სპარტაკის", „შრომითი რეზერვების" და სხვა კოლექტივები.

წონითი კატეგორიების მიხედვით დედაქალაქის 1958 წლის ჩემპიონები გახდნენ ი. აკმურზინი (სკვო), ბ. პოზინი („ბურევესტნიკი"), გ. ფაროიანი („განთიადი"), რ. მანუკოვი („დინამო"), ვ. ფინანსოვი (სკვო), პ. ხუბეჟოვი („განთიადი"), გ. გუნია („ბურევესტნიკი"), ნ. მურვანიძე („ბურევესტნიკი"), ი. ბლუდივი (სკვო), და ჩოგოვაძე („ბურევესტნიკი").

საინტერესოდ ჩატარდა პირველი საშუალო წონის მოკრივეების ა. ფროლოვის („დინამო") და გ. გუნიას („ბურევესტნიკი") ორთაბრძოლა. ფროლოვმა მოწინააღმდეგე პირველსავე რაუნდში ნოკდაუნში ჩააგდო, მაგრამ „ბურევესტნიკის" წარმომადგენელი ამან არ დააბნია. — იგი მეორე რაუნდში ახდენს ძალების მობილიზაციას, გადადის აქტიურ შეტევაზე და რაუნდს ამთავრებს თავის სასარგებლოდ. მესამე რაუნდში ფროლოვი უარს ამბობს ბრძოლის გაგრძელებაზე.

გუნდური პირველი ადგილი დაიკავა „ბურევესტნიკის" ძლიერმა კოლექტივმა. მეორე ადგილზე გამოვიდა „განთიადის", მესამეზე — „დინამოს" კოლექტივი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ზოგიერთი მსაჯის გამოუცხადებლობა, რამაც ხელი შეუშალა შეჯიბრების ნორმალურ ჩატარებას. თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა სათანადო ზომები უნდა მიიღოს უდისციპლინო მსაჯების მიმართ.

ზ. მელაძე,
სპორტის ოსტატი.




განვლილ კვირას ჩატარდა მორიგი მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში მეორე და მესამე ჯგუფების გუნდებს შორის.

• • •

მეორე ჯგუფი. I ზონა. „განათლება" (დიდი ჯიხაიში)-ადგილ. მრეწვ. სამმართველო (ქუთაისი) — 1:3, წულუკიძე-„განთიადი" (წყალტუბო) — 4:1, „სალხინო" (გეგეჭკორი)-„სპარტაკი" (საჩხერე) — 1:2.

• • •

II ზონა. „კოლხიდა" (ხობი)-„ბახმარო" (ჩოხატაური) — 1:0, „სპარტაკი" (ცხაკაია)-„კოლმეურნე" (გალი) — 3:1.

• • •

III ზონა. „ლოკომოტივი" (ხაშური)-ახ. საფეხ. სკოლა II (თბილისი) — 0:1, „კოლმეურნე" (ბოლნისი)-„ჩანჩქერი" (ბორჯომი) — 0:0, „კოლმეურნე" (გურჯაანი)-„დურუჯი" (ყვარელი) — 3:3.

• • •

IV ზონა. „თრიალეთი" (წალკა)-„შრ. რეზერვები" (თბილისი) — 1:3, „კოლმეურნე" (ქარელი)-„ლოკომოტივი" (გურჯაანი) — 0:1, „წინანდალი" (თელავი)-„მშენებელი" (რუსთავი) — 1:1.

• • •

მესამე ჯგუფი. I ზონა. კასპი-ველისციხე — 14:1, „შირაქი" (წითელწყარო)-„შრ. რეზერვები" (თბილისი) — 1:0, „არაგვი" (მცხეთა)-„განთიადი" (ახმეტა) — 3:3, „კოლმეურნე" (გარდაბანი)-„ჩანჩქერი" (ლაგოდეხი) — 0:0, „კოლმეურნე" (ქისტაური)-სიღნაღი — 1:1.

• • •

II ზონა. „კოლმეურნე" (დმანისი)-„კოლმეურნე" (ადიგენი) — 2:2, „არაგვი" (დუშეთი)-„კოლმეურნე" (წალკა) — 3:2. ახალქალაქი-თეთრი წყარო — 3:0, მარნეული-ასპინძა — 2:0, მტს-ი (ადიგენი)-ბოგდანოვკა — 1:2.

• • •

III ზონა. „კოლმეურნე" (ხობი)-„კოლმეურნე" (წალენჯიხა) — 1:0, შემოქმედი-„ვოდნიკი" (ფოთი) — 4:1, ლაითური-„კოლმეურნე" (ცხაკაია) — 6:0, „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ)-„ბუმაჟნიკი" (ზუგდიდი) — 1:1, სას. სამ. ტექნიკუმი (ზუგდიდი)-„თაიგული" (ლანჩხუთი)—0:0, „ცისკარი" (აბაშა)-„კოლხიდა" (ფოთი) 3:0.

• • •

IV ზონა. „ხვანჭკარა" (ამბროლაური)-„მამისონი" (ონი) — 2:3, „მშენებელი" (ჭიათურა)-„სპარტაკი" (მახარაძე) — 3:0, „განთიადი" (ლანჩხუთი)-„სპარტაკი" (ვანი)—2:1, სტალინის სახ. შახტი (ტყიბული)-„შრომა" (დიდი ჯიხაიში) — 0:1, „ხვამლი" (ცაგერი)-„გაზაფხული" (ზესტაფონი) — 3:4, „ციცქა" (თერჯოლა)-„აბჰესი" (გეგეჭკორი) — 1:0, „კოლმეურნე" (მაიაკოვსკი)-„კოლმეურნე" (ზუგდიდი) — 4:1.

## პირველი საერთაშორისო—მოგებულია

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 8 ივნისი.

„დინამო" (თბილისი)—„დინამო" (ბერლინი) — 2:1 (0:0).

ბერლინი: მარკვარტი; მიხაელი, შეინე, სკაბა; მაშკე, მიულბეჰერი (კლემი); ნიპერტი, ბაზელი, ბლეი, შრეიტერი, მაცენი.

თბილისი: კოტრიკაძე; ჩოხელი, სიჭინავა, ხოშოლავა; ხუნდაძე, ლოლობერიძე; გაგნიძე, ბარქაია, მელაშვილი, იამანიძე, მესხი.

მსაჯი ი. გრიგორიევი (ბაქო).

მიმდინარე წელს პირველი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი თბილისის „დინამოს" ჰქონდა ბერლინის თანაკლუბელებთან, რომლებიც სულ ახლახან გადავიდნენ „ა" კლასში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბერლინის დინამოელები დიდი ხანი არაა, რაც გამოჩნდნენ საერთაშორისო სარბიელზე, მათ საკმაოდ კვალიფიციური თამაში და კარგი მომზადება აჩვენეს. ეს ნათლად ჩანდა 8 ივნისის მატჩშიც.

სტუმრებმა თამამად და აქტიურად დაიწყეს თამაში. მცველებმა მჭიდროდ აიყვანეს მოწინააღმდეგე თავდამსხმელები, რათა არ მიეცათ მათთვის ინიციატივის ხელში აღებისა და სწრაფი მანევრების საშუალება, ხოლო ფორვარდები დაუღალავად მოძრაობდნენ მინდვრის მთელ სიგანეზე, რათა თავისუფალ პოზიციაში მიეღოთ ბურთი და მეტ ხანს შეეჩერებინათ იგი მოპირდაპირე ნახევარზე. ამ ამოცანის შესასრულებლად იბრძოდა მთელი გუნდი და საკმაოდ წარმატებითაც. აღსანიშნავია გერმანელ ფეხბურთელთა დიდი ყურადღება და სიზუსტე ბურთის გადაცემისას, ენერგიული ბრძოლა მაღალი ბურთებისათვის, მაგრამ მათ შეტევას აკლია საერთო სიმძლავრე. კომბინაციათა მეტი წილი კარის პარალელური მიმართულებით წარმოებს და არ იგრძნობა უშუალო სიმწვავე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. მცირეა კარში დარტყმათა პროცენტი.

თბილისელთა თამაშში გაცილებით მეტი სიმწვავე და აგრესიულობა იგრძნობა. გადაცემათა უმრავლესობა, მოთამაშეთა გასვლები გამიზნულია მოწინააღმდეგის კარისაკენ. ნაყოფიერად მუშაობდა მინდვრის შუაგულში ლოლობერიძე, განუწყვეტლივ უტევდა ბერლინელთა კარს მესხი. რამდენიმე მეტად ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა იამანიძეს, რომელთაგან ერთ-ერთი კინაღამ გოლით არ დამთავრდა, მაგრამ ბურთი სულ ახლო მანძილიდან მოხვდა ძელს. ასევე აცდა მიზანს მელაშვილის უძლიერესი დარტყმა.

კიდევ უფრო მწვავე იერიშებით დაიწყეს თამაში თბილისელებმა მეორე ტაიმში. მართალია, ამ შეტევაში მარცხენა ფრთა მარჯვენაზე უფრო აქტიური და საშიში იყო, მაგრამ გერმანელთა დაცვა ვერ ასწრებდა სათანადო გადაჯგუფებას და მესხი და იამანიძე კვლავ ზედიზედ გადიოდნენ სახიფათო პოზიციაში. მე-8 წუთზე ლოლობერიძემ მოიგო ბრძოლა მოწინააღმდეგე მცველებთან მარცხენა ფლანგზე და მიაწოდა ცენტრში, სადაც ბარქაიამ შესანიშნავი დარტყმით შეუჩერებლად გაგზავნა ბურთი კარში — 1:0.

მცირე ხნის შემდეგ იამანიძე დრიბლინგით გავიდა პირით ხაზთან და მარჯვნივ გადასცა ბურთი. აქ მცველებს დაასწრო გაგნიძემ და მეორე ბურთი გაიტანა მათ კარში — 2:0.

გერმანელმა ფეხბურთელებმა მარცხენა შუამარბ შრეიტერის ხელმძღვანელობით კვლავ შეძლეს კომბინაციური თამაშის აწყობა და მატჩის დასასრულს — 43-ე წუთზე გაქვითეს ერთი გოლი. იგი რამდენიმე დარტყმის შემდეგ გაიტანა მარცხენა გარემარბმა მაცენმა.

თამაში მოიგეს თბილისის დინამოელებმა ანგარიშით 2:1.

რ. ქორიძე

## საფარიკაო ბილიკებზე ბრძოლები დამთავრდა

საქართველოს 1958 წლის პირველობა ფარიკაობაში

ხიშტით ფარიკაობა რატომღაც ნაკლები პოპულარობით სარგებლობს რესპუბლიკის ახალგაზრდობაში, ვიდრე ფარიკაობის სხვა სახეობები. ამასთან ფარიკაობის ამ სახეობაში მომეცადინენი განიცდიან ინვენტარის ნაკლებობას და ხშირია შემთხვევა, როცა მონაწილეები თვითნაკეთი იარაღითაც კი გამოდიან შეჯიბრებებზე.

მიუხედავად ამისა, საქართველოს პირველობაზე ხიშტით ბრძოლაში ერთმანეთს ეცილებოდა 8 გუნდი. მათგან უდავო იყო თბილისის პირველი გუნდის აშკარა უპირატესობა, რომელმაც ფინალში დაამარცხა თბილისის II, ქუთაისის, წულუკიძის გუნდები და მოიპოვა პირველი ადგილი (შ. ენდელაძე, რ. ნებიერიძე, რ. გოშაძე). პირად პირველობაზე მონაწილეებმა ვერ გამოავლინეს მაღალი ტექნიკა და ტაქტიკა, ბრძოლები ხასიათდებოდა უხეში ჩხვლეტებით და შეჯიბრების წესების ხშირი დარღვევით. ეს გამოწვეული იყო სპორტსმენთა მოუმზადებლობით.



ისინი წლის განმავლობაში არაფერს აკეთებენ და მხოლოდ შეჯიბრების მოახლოებისას შეუდგებიან ხოლმე წვრთნას. ფინალის ბოლოს გ. დავთიანს აღმოაჩნდა 6 მოგება და ერთი წაგება. მას მიენიჭა პირველი ადგილი და მასთან რესპუბლიკის ჩემპიონობაც. მეორე ადგილისათვის იბრძოდნენ შ. ენდელაძე და რ. გოშაძე, რომლებსაც მოგებათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ. დამატებით შეხვედრას უნდა გამოევლინა გამარჯვებული, სადაც მეტი გამოცდილების მქონე ენდელაძემ ადვილად დაამარცხა მოწინააღმდეგე.

ჩვენს რესპუბლიკაში ესპადრონისტთა მეტად ძლიერი ჯგუფია — თბილისელები მ. სახვაძე, ნ. ასათიანი, გ. გოგელია, ჯ. მაჭავარიანი, ა. შვანგირაძე, ჯ. გოგაძე, ქუთაისელი ჯ. მოსიძე და სხვები. სწორედ ეს სპორტსმენები გავიდნენ გათამაშების ფინალში, მათი ძალები დაახლოებით თანაბარი იყო, მაგრამ წარმატება მოიპოვეს იმ სპორტსმენებმა, რომლებიც დროულად და ამასთან მთელი სერიოზულობით მოეკიდნენ რესპუბლიკური შეჯიბრებისათვის მზადებას.

პირველი შეხვედრებიდანვე დაწინაურდნენ მ. სახვაძე, ნ. ასათიანი (პირველს მხოლოდ ერთი დამარცხება ჰქონდა ნ. ასათიანთან), მაგრამ ამ უკანასკნელმაც ვერ დააღწია თავი წაგებას. ქუთაისელ ჯ. მოსიძესთან ბრძოლაში თბილისელი დამარცხდა — 4:5. ამრიგად, ფინალის ბოლოს ორ სპორტსმენს — მ. სახვაძესა და ნ. ასათიანს დაუგროვდათ გამარჯვებათა თანაბარი რაოდენობა. მათ შორის მოსალოდნელი იყო თანაბარი და დაძაბული ბრძოლა, მაგრამ მაყურებელთა და მონაწილეთა იმედები არ გამართლდა. სახვაძემ მეტოქეს თავს მოახვია მისთვის ხელსაყრელი ტაქტიკური ბრძოლა და ადვილად გაიმარჯვა — 5:0. მ. სახვაძემ პირველად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის სახელი.

არანაკლებ ინტერესს იწვევდა მესამე ადგილის პრეტენდენტთა — თბილისელ გ. გოგელიასა და ქუთაისელ ჯ. მოსიძის ბრძოლა, რომელთაც 5-5 გამარჯვება ჰქონდათ თვითეულს.

ქუთაისელმა ბრძოლა მაღალ ტემპში, შეტევით დაიწყო, რასაც მეტოქემ ძლიერი დაცვა დაუპირისპირა და რამდენიმე დარტყმა მიაყენა ქუთაისელს, ჯ. მოსიძემ დროულად შეცვალა ბრძოლის ტაქტიკა, გადავიდა დაცვაზე და გ. გოგელიას იერიშებს კონტრიერიშებით უპასუხა. მან მალე გაათანაბრა ანგარიში და გაიმარჯვა კიდეც. ჯ. მოსიძემ ამ გამარჯვებით მოიპოვა მესამე ადგილი.

ა. მეიფარიანი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი,

ზ. ჭაფარიძე

• • •

ტექნიკური შედეგები. გუნდური პირველობა. ხიშტი. 1. თბილისი I, 2. ქუთაისი, 3. თბილისი II 4. წულუკიძე, 5. სამხრეთ ოსეთი, 6. ზესტაფონი. პირადი პირველობა. 1. გ. დავთიანი, 2. შ. ენდელაძე, 3. რ. გოშაძე, 4. ს. ხარებოვი (ყველა თბილისიდან), 5. ა. ლოსაბერიძე, 6. ნ. ჭარეკაშვილი (ორივე ქუთაისიდან). ესპადრონი. 1. მ. სახვაძე, 2. ნ. ასათიანი (თბილისი), 3. ჯ. მოსიძე (ქუთაისი), 4. გ. გოგელია, 5. ჯ. მაჭავარიანი, 6. ა. შვანგირაძე (ყველა თბილისიდან).

საერთო გუნდური პირველობა. 1. თბილისი I, 2. თბილისი II, 3. ქუთაისი, 4. ზესტაფონი, 5. რუსთავი, 6. წულუკიძე.

• • •

სურათზე: გ. გოგელია და დ. ჭავახაძე საფარიკაო ბილიკზე.

ფოტო მ. ბორაშვილისა.



> მწერალმა ს. თვარაძემ მუშაობა დაამთავრა მხატვრულ მონოგრაფიაზე — „საგარეჯოდან ტოკიომდე", რომელიც წარმოსახავს მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშების, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, სახელგანთქმული ფალავნის არსენ მეკოკიშვილის ცხოვრებას მშობლიური სოფლიდან დაწყებული, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებამდე.
>
> ვბეჭდავთ ნაწყვეტს ამ მონოგრაფიიდან, რომელსაც ეწოდება „პირველი გამოსვლა".



# საგარეჯოდან ტოკიომდე

— ...გაცივდა, გამოიყვანეთ, გაცივდა!

უცებ შეიქმნა ჩოჩქოლი და ყვირილი. ვიდრე „ტროყი ბიჭი" გონს მოვიდოდა, მასთან მიიჭრა მაღალ-მაღალი გამრიგებელი, თანასოფლელს ჩოხა ჩააცმევინა, ქამარი შემოარტყმევინა და წრისკენ გაიტაცა.

მოპირდაპირე მხარეს ფალავანი უკვე გამოსულიყო. მას მობეზრებოდა ფეხზე დგომა, წინა რიგში ჩამჯდარიყო და მაყურებლებთან ლაზღანდარობდა. სწორედ ამიტომ ყიჟინებდა ხალხი — „გაცივდა, გაცივდაო". ესე იგი, მალე გამოუყვანეთ ტოლი, თორემ ამასაც წაუხდება ბრძოლის ჟინიო.

... ტოლის შერჩევაში ვერავინ ნახეს ისეთი, რომ მისი შესაფერი ყოფილიყო, ან ნახეს, უარი მიიღეს და აი, ჯერი ისევ იმ „ტროყ ბიჭზე" მიდგა. საოცარია, რომ ეს ფალავანიც საგარეჯოელი აღმოჩნდა. იგი იყო ძვალმსხვილი და კუნთმაგარი ვაჟკაცი, ხნითაც უფროსი ჩანდა. გამოცდილებაც მეტი უნდა ჰქონოდა და ამის გამო, მის უეჭველ გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. მოხდა კი მხოლოდ იმის საწინააღმდეგო, რასაც უმეტესობა ფიქრობდა. „ტროყმა" მისვლისთანავე მოგვერდი ჰკრა, ნესვივით გადაატრიალა და მიწას გააკრა... საგარეჯოელთა წყენას და გიორგწმინდელების აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. ამ უკანასკნელთ, თავიანთ ბუდეში აღზრდილი ბოკვერი წრიდან გამოსვლისთანავე სათითაოდ გადაჰკოცნეს, რადგან ამ გამარჯვებით გიორგწმინდელები ყველას მჯობნი აღმოჩნდნენ.

საგარეჯო ფარხმალს არ ჰყრიდა, ყველაზე უფრო ნაწყენი მათი იმედი შალვა გზირიშვილი იყო და მანვე გადასწყვიტა — გამარჯვების სახელი გიორგწმინდელებისათვის არ დაეთმო. თვითონ გზირიშვილი, ხნოვანებით თითქმის იმ „ტროყის" ტოლი იყო, არც თვალით (ე. ი. წონით) ჩანდა მასზე ნაკლები და გაბოლმებული მაღალ-მაღალ გამრიგებელთან მიიჭრა:

— ოღონდ ამ „ტროყს" დამჭიდე და რაც გინდა მთხოვე! — უთხრა მან.

გამრიგებელმა თვალი თვალში გაუყარა, შემდეგ კარგად ახედ-დახედა და მკვირცხლად წამოისროლა:

— ასეთი კარგი წყვილი როგორ გამომრჩა? ფუი! — უცებ ისევ დარბაისელ კაცად იქცა და მტკიცე ხმით მიუგო: — ძალიან კარგი! მხოლოდ ჯერ დაისვენოს, ასე უცებ ხომ ვერ გამოვიყვან?

ვიდრე „ტროყი" ისვენებდა, პატარძეულელმა კაჭრეთელი დასცა, ხაშმელმა მანაველს აჭამა სირცხვილი, კაკაბელმა ნინოწმინდელი აბურთავა, ხოლო სართიჭალელი ორთავჯანში გამოვიდა — თოხლიაურელთან.

როდესაც გიორგწმინდელებმა გაიგეს, რომ გზირიშვილი ითხოვს „ტროყ ბიჭსო", ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდნენ. მაგრამ გაუსვლელობა არ იქნებოდა — ლაჩრობაში ჩამოართმევდნენ, ხოლო ლაჩრობაზე უფრო სალანძღავ-საგინებელი ამ ხალხისათვის თავის დღეში არაფერი ყოფილა და...

აღმოსავლეთიდან რომ „ტროყი" გამოვიდა, დასავლეთიდან გზირიშვილი გადმოხტა და ხალხი ისე აგუგუნდა, როგორც ფუტკარი სკაში.

— თუ ამასაც გაუძლო, მაშინ კი ვიწამებ, რომ იმაზე უკეთესი ღლარავინ დაიბადება!

— რაკი გამოჰყვა, გაუძლებს კიდეც!

— ასეთ გამოცდილთან ვერაფერს გახდება!

— ჰოდა, ეგეც გამოიცდება!

მათმა გამოჩენამ ხალხში ასეთი კამათი გამოიწვია, მაგრამ ზოგი სულსწრაფი კამათსაც არ დასჯერდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხმამაღლა გაჰყვიროდა:

— მიდი, მიუშვი! მიდი, რაღას უყურებ!

მიუშვეს. ორი ახალგაზრდა ერთმანეთს ეძგერა. გზირიშვილმა მისვლისთანავე ჩოხაში ხელი სტაცა — გულისპირთან, წამოუჩოქა, რომ ბეჭებზე გადატანით გადაეკოტრიალებინა, მაგრამ „ტროყმა" წელთან ქამარში ჩაავლო მარცხენა ხელი, მარჯვენით მის კისერს მიაწვა და ისე გაიბარჯღა, ძვრაც ვერ უყო. მცირე ხნის შემდეგ, რაკი გზირიშვილი ჩოქზე იდგა, „ტროყმა" ხელი უშვა, ფეხზე წამოაყენა. წამოაყენა და ახლა მან სცადა ერთ წუთში მოეღო მისთვის ბოლო. როგორც კი შალვამ ხელი ასწია — წასავლებად, „ტროყმა" აღარ აცალა, ორივე ხელი მარჯვენა მკლავში დასტაცა, შებრუნდა, ზურგი უჩვენა, რომ კისრულზე წაეღო, მაგრამ გაუცდა, გზირიშვილმა ხელის შეუმჩნეველი გაკვრით მისი ზურგი აიცდინა და წინ გადაუხტა. „ტროყს" ხელში შერჩა მისი ცალი მკლავი საკუთარ მკერდთან დაბღუჯული... თავის მხრივ არც გზირიშვილმა იკადრა დაჩოქილს ზედ დასცემოდა, ხელი უშვა, რომ წამომდგარიყო და მართლაც, იგი ელვის სისწრაფით წამოიჭრა, ხელის გაქნევის საშუალებაც აღარ მისცა მეტოქეს, უცებ მოგვერდი ჰკრა, ასწია, ფეხქვეშ ქარი გაუტარა და თავით მიწასკენ შეაბრუნა. გზირიშვილმა ისღა მოახერხა, რომ თავისუფალი ხელი მიწას დაჰკრა და ბეჭზე დაცემა აიცდინა. „ტროყმა" ძირს დაცემულს ხელი უშვა და განზე გადგა.

— უჰ, შენი ჭირიმე!

— შენ გენაცვალე, ბიჭო! — ერთხმად აღმოხდა ყველას როგორც გამახალისებელი გუგუნი და ამან გზირიშვილი ერთიანად გააცოფა. ერთი ნახტომით მოწინააღმდეგესთან გაჩნდა, შორიდან გამოჰკრა გარესარმა და თან მკერდში ხელი ჰკრა. „ტროყი" უკან გადაიზნიქა. კინაღამ სულაც გადაიქცა, მაგრამ საოცარი მხნეობით თავი შეიკავა და უკან-უკან წასულმა, ისღა მოახერხა, რომ ერთ ადგილას დაეცა, ჩაჯდა... ჩაჯდა, მაგრამ თვალის დახამხამებაში ისევ ფეხზე იდგა და გულდაგულ მიიწევდა მოწინააღმდეგეზე...

ორივენი იბრძოდნენ თავდაუზოგავად და სულმოუთქმელად. რა არ გააკეთეს, რა ხერხი არ იხმარეს, ჯანდაჯან მისვლით ხომ ლამის ძარღვებიც დაიწყვიტეს, მაგრამ შესამჩნევად ვერც ერთმა სძლია, ვერც მეორემ. „ტროყს" ვერც შუაკაურმა უშველა, ვერც თეძოზე წაღებამ, ხოლო გზირიშვილს არა ერთხელ გაუცდა მოგვერდიც და ნამგლურიც... ისეთი იშვიათი სანახაობა გაიმართა, რომ ხალხს შებრალებაც დაავიწყდა და გულსათუთობაც. ყველა ოლტაცებით შეჰყურებდა მათ ვაჟკაცურ შემართებას, მეტისმეტი ძალდატანებისაგან მწვანიანსაც კი ბოლს რომ ადენდნენ და წარამარა ისმოდა გამამხნევებელი ყიჟინა:

— „ადე!" „უჰ, შენი ჭირიმე!" „მიდი, შენია!" „მისცხე, აი — დე!" — და სხვა ამისთანები. სხვები თუ ხუთიოდე წუთს ჭიდაობდნენ ხოლმე, ისინი ათზე მეტიც აჭიდავეს და მაინც არ ცხრებოდა ხალხის ცნობისმოყვარეობა. ბოლოს მაინც აღმოჩნდა ჭკვიანი და გულღმობიერი, შუახანს გადაცილებული გლეხკაცი შუა წრეში გამოვარდა და სრული ხმით დაიქუხა:

— რას ჩადით, თქვე გამჩენძაღლებო, ერთმანეთს დახოცავენ. გააშველეთ!

ეს ერთი ხმაც საკმარისი გახდა იმისათვის, რომ ხალხი გამოფხიზლებულიყო. ჯერ შიგადაშიგ ახმაურდნენ, შემდეგ კი ყველას ხმა ისე გაისმა, როგორც შორეული რუხრუხი:

— გააშველეთ, ორთავჯანია, გააშველეთ! — და რაკი დღევანდელი ჭიდაობის უკანასკნელი წყვილი ესენი იყვნენ, თვითონ ხალხი გადაცვივდა წრეში და გაალმასებული მოჭიდავენი ჯერ რომ ერთმანეთს გააშორეს, შემდეგ ისევ ერთმანეთზე მიჰყარეს და გულმხურვალედ დააკოცნინეს „ტროყს" — გზირიშვილი, ხოლო გზირიშვილს — „ტროყი".

წრე დაიშალა. სიმღერა შეწყდა. ჭიდაობა დასრულდა. ხალხი ეზო-ყურეზე გამოიფინა და რაკი ჭიდაობის დასრულება დღეობის დასრულებასაც ნიშნავდა, თავქვე ბილიკებით ხალხი ისე დაეშვა სოფლისაკენ, როგორც მდინარის რამდენიმე ნაკადული... მიდიოდნენ და ყველანი ერთმანეთს უზიარებდნენ დღევანდელ შთაბეჭდილებებს. ყველაზე მეტს ლაპარაკობდნენ „ტროყ ბიჭზე", რომლის სახელი და გვარი ახლა ყველამ იცოდა. იცოდა და თან მიჰქონდათ, რომ მასზე ელაპარაკნათ: მინდვრად-გუთნისდედებთან, მთაში—მწყემსებთან, ბაღ-ბოსტან-ვენახებში — დიდპატარასთან, ხოლო სოფლად და ქალაქად კი — ყველასთან!

მაგრამ ყველა ამაზე უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამეც მოხდა, როგორც შემდეგში დავინახავთ, შეიძლება გადამწყვეტიც...

„ტროყი" ბიჭით ყველა აღფრთოვანებული იყო, ხოლო თვითონ კი ძალზე დაძმარებული მისდევდა თავისიანებს. მას დღევანდელი წარმატებანი მაინცადამაინც სასახელოდ არ მიაჩნდა, რადგან გული დაწყვეტილი ჰქონდა მხოლოდ ერთით: სახელოვანს ვერ ვძლიე, უსახელო კი რამდენიც გინდა ახეთქე, რა გამოვა ამით? ფუი, ასეთ მკლავს და ვაჟკაცობასო!

ამ ფიქრებში ჩაფლულს, ვიღაცამ უკნიდან ხელი დაჰკრა და იმავე წუთს მოესმა:

— მოიცა!

მიიხედა. მის წინ სწორედ ის გზირიშვილი იდგა, რომელმაც ამდენი ბოლმა ჩაუგუბა მკერდში. „ტროყმა" წარბები შეიკრა, რადგან იფიქრა, რომ ორიოდე წუთის წინ კბილთაღრჭენით მებრძოლს საკეთილო საქმე არ ექნება ჩემთანო...

— ბიჭო, წარბს ნუ იკრავ, ლომსლომი უყვარს, მელას ახლოს არ გაიკარებს!

„ტროყმა" თვალები ჰყიტა რადგან ვერ მიუხვდა რას ეუბნებოდა. გზირიშვილს თვალებში ჩააშტერდა და დიდხანს უყურა უხმოდ, კრინტის დაუძრავად...

ისინი იდგნენ გორაკის თხემზე, საიდანაც გრძელი დაკლაკნილი ბილიკები სოფლისაკენ ეშვებოდნენ. გარემოცული დიდებული სანახაობა მათ წინ გადაშლილიყო, როგორც ხელისგულზე.

— დიდი ხანი არ არის, რაც მე ამ საქმეს მივდევ, — როდისა და როდის შეგუბებული ხმით წამოიწყო შალვამ, — მაგრამ გულწრფელად გეუბნები: შენისთანა მკლავი ჯერ არ შემხვედრია! მე ვგრძნობ, მე ვხედავ, რომ შენთვის ძალიან პატარა იქნება ეს სივრცე... — მან ხელი მოატარა თავის ირგვლივ, ისე რომ ივრის ხეობის ტრამალებზეც ანიშნა და ცივ-გომბორის მთის უამრავ კალთებზედაც.

„ტროყი" უფრო განცვიფრდა.

— რაზე ამბობ, გამაგებინე! — წამოიძახა მან.

— იმაზე, რომ გულმა გული იცნო და ღონემ—ღონე! ჩვენ რომ ერთმანეთს შევაკვდეთ, სხვებს — უთვალავს და უამრავს, ვინ გასცეს პასუხი? ეს მადლიანი მთა და ველი ვეფხვებს უნდა ზრდიდეს და არა წუნკლებს! მტრობა რას მიქვია, ან გულისჯავრი ვინ ოხრობაა, რომ გმირი შემაძულოს? ჰოდა, ძმად მინდა გაგეფიცო! აღარაოდეს არ ვიჭიდავებთ ერთმანეთთან, ჩვენ სხვებთან ბრძოლაში უნდა ვასახელოთ ჩვენი სოფელი და ჩვენი ქვეყანა!..

„ტროყი" უცებ მიხვდა, რასაც ეუბნებოდნენ და უცებვე იგრძნო თუ განჭვრიტა, რომ პირველი გამოსვლისთანავე მოიპოვა ყველაზე ძვირფასი, რასაც კი ცოცხალი ადამიანი ინატრებს — მეგობარი!

— შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე! ძმებად დავიხოცოთ, ჩვენი ქვეყანა კი ვასახელოთ, არა?

ისინი გადაეხვივნენ და ერთმანეთი მხურვალედ გადაჰკოცნეს...

მაშინ არცერთმა იცოდა და არც მეორემ, რომ ერთ-ერთ მათგანს, ამ დარგში მართლაც უნდა ესახელებინა არა მარტო მადლიანი საქართველო, არამედ დიდი და ძლიერი საბჭოთა კავშირიც კი!

ეს არ იცოდნენ, მაგრამ ვერც იმას მიხვდნენ, რომ ტოკიოსკენ მიმავალ გზას სწორედ იმ დღით ჩაეყარა საფუძველი, რადგან მშობლიურმა კუთხემ ყველაზე წინ იცნო და ახმაურდა იმ „ტროყ ბიჭზე", რომელსაც კიდით-კიდემდე დღეს უკვე იცნობენ არსენ მეკოკიშვილის სახელით...



14 ივნისს

14 ივნისს

თბილისი, დელისის იპოდრომი

საქართველოს 1958 წლის პირველობა

## ცხენოსნობაში

(კლასიკური სახეობა)

შეჯიბრების მთავარი მსაჯი ი. კიზირია

---

ქალაქებსა და რაიონებში

## საჩხერე

საჩხერის რაიონის კომკავშირელმა ახალგაზრდებმა მიმდინარე წლის გაზაფხულზე კარგი ინიციატივა წამოიწყეს. მათ დაბა საჩხერეში მდინარე ყვირილას მარცხენა ნაპირზე დაიწყეს კომკავშირული ხეივნის მშენებლობა. აქვე ეწყობა სპორტული მოედნები — საცურაო აუზი, ჩოგბურთის კორტი, საჭიდაო სარბიელი, მძლეოსნური სექტორები, კალათბურთის 3 მოედანი და ფრენბურთის 4 მოედანი.

მთავრდება ხეივნის შემოღობვა, რომელსაც 4 ჰექტარი ფართობი უჭირავს, დამთავრდა სპორტული მოედნების მიწის სამუშაოები და ბუქამაღ მამცინარეობს მათი კეთილმოწყობა და საჭირო ინვენტარის დადგმა.

ხეივანში რაიონის ახალგაზრდებმა წელს დარგეს 4 ათას ძირამდე სხვადასხვა ჯიშის მცენარე, რომლებსაც დიდი მზრუნველობით უვლიან.

კომკავშირული ხეივნისა და სპორტული მოედნების მშენებლობა მთლიანად დამთავრდება 1 სექტემბრისათვის.

ს. ლაშხი

• • •

## ხაშური

ხაშურში ჩატარდა კომკავშირის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი შეჯიბრება კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობდა ვაჟთა 6 და გოგონათა 5 გუნდი. ვაჟებს შორის პირველი ადგილი მოიპოვა რკინიგზის მე-13 სკოლამ, ხოლო გოგონებს შორის ხაშურის პირველმა სკოლამ.

პიონერები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ აგრეთვე სპორტულ ტანვარჯიშში სპეციალური პროგრამით. პირველი ადგილი წილად ხვდა სურამის მეორე საშუალო სკოლის ნორჩ ტანმოვარჯიშეებს.

შ. ლურსმანაშვილი

• • •

## წითელწყარო

კარგი ინიციატივა გამოიჩინა წითელწყაროს განათლების განყოფილების 1-ლი საბავშვო ბაღის მშობელთა კომიტეტმა, რომელმაც მოაწყო საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა შეჯიბრება ველორბოლაში. ეს შეჯიბრება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა და ითვალისწინებდა სამი და ორთვლიანი ველოსიპედებით რბოლას 120 მეტრზე.

გამარჯვებულები ყვავილების თაიგულებითა და სათამაშო ავტომანქანებით დაჯილდოვდნენ, ხოლო ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულმა კომიტეტმა მათ სიგელები გადასცა.

გ. ტოკლიკიშვილი

რედაქტორი ი. უზულავა.

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების—3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02487